ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური

KA980181366401416

№25/335738

29 / დეკემბერი / 2016 წ.

შპს „ოპტიმა საბურთალო"ს დირექტორს
ბატონ ირაკლი ბურდილაძეს

საქართველო, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #29

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 2016 წლის 19 დეკემბრის #444246/07 წერილი და დოკუმენტაცია (შპს „ფორესთ კომპანი"ს 2016 წლის 15 დეკემბრის #1/183 ხე-მცენარეების აღრიცხვის უწყისი) რომლითაც ითხოვთ სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, მიხეილ შავიშვილის ქ. #2-ში (სკ/კოდ 01.14.04.028.041) არსებულ მიწის ნაკვეთზე, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული 1 (ერთი) ძირი თუთის ხის (დიამეტრი 33.4სმ) და 2 (ორი) ძირი ელდარის ფიჭვის (დიამეტრებით 33.8სმ, 33.4სმ; ხნოვანება 38 წელი და 39 წელი) მოჭრის ნებართვას „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად. ხოლო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად 2 (ორი) ძირი კაკლის (დიამეტრებით 15სმ, 15სმ), 1 (ერთი) ძირი თელას (დიამეტრი 12.1სმ) და 1 (ერთი) ძირი ნუშის (დიამეტრით 15.6სმ) გადარგვის ნებართვას.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავის ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი რომელიც შეადგენს 8276 (რვაათასორასსამოცდათექვსმეტი) ლარს.

3 (სამი) ძირი ჭერამის და 1 (ერთი) ძირი ბალის (ხილ-კენკროვანი) მოჭრა ამავე კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

1 (ერთი) ძირი დაავადებული თუთა (დიამეტრით 26.4სმ აღნიშნული ხის განკურნება შეუძლებელია) და 1 (ერთი) ძირი ზეხმელი კაკალი (დიამეტრით 21.7სმ ხნოვანება 19 წელი), რომელთა აღდგენითი ღირებულება შეადგენს 1398 (ათასსამასოთხმოცდათვრამეტი) ლარს, სამსახური თანახმაა მოიჭრას საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად. მესაკუთრე ვალდებულია ამავე კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად გადაიხადოს აღდგენითი ღირებულება და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს

გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

იოსებ ქარცივაძე